კულტურული სიმკაცრე-ლმობიერება და აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსი, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრედიქტორები

გვანცა თუთისანი

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა კულტურული თუ სოციალური ფაქტორების, კერძოდ, კულტურის სიმკაცრე-ლმობიერებისა და აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსის როლის შემოწმება ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სუბიექტურ კეთილდღეობაში. როგორც აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ისე კულტურული სიმკაცრე-ლმობიერება სხვა ერების კონტექსტში არაერთხელაა შესწავლილი. შესაბამისად, საინტერესოა ქართული საზოგადოების კონტექსტში, უკავშირდება თუ არა აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსი და კულტურის სიმკაცრე-ლმობიერება ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის განცდას. კიდევ ერთ საკვლევ კითხვას წარმოადგენს, არის თუ არა კულტურული სიმკაცრე/ლმობიერება და აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსი შფოთვის, დეპრესიის და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის პრედიქტორები. კვლევის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით გამოიკითხა 165 ადამიანი. მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა კორელაციური და რეგრესული ანალიზი. გამოთქმული ჰიპოთეზები ნაწილობრივ გამართლდა. კულტურული სიმკაცრე/ლმობიერების ცვლადთან მიმართებაში გამოთქმული მოსაზრებები სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა. ნაშრომში ხაზგასმულია შეზღუდვები, რასაც, შესაძლოა, ჰქონოდა კვლევის შედეგებზე გავლენა. რაც შეეხება მეორე პრედიქტორ ცვლადს, შედეგები იმაზე მიანიშნებს, რომ აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსი დადებითად უკავშირდება ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას, ხოლო უარყოფითად ფსიქიკურ ჯანმრთელობას (დეპრესია და შფოთვა). მოცემული შედეგები გამყარებულია სხვადასხვა კვლევებსა და წინარე ლიტერატურაზე დაყრდნობით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კულტურული სიმკაცრე/ლმობიერება, აღქმული სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დეპრესია, შფოთვა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, ცხოვრებით კმაყოფილება

Abstract

The purpose of this study is to examine the role of various cultural or social factors, namely the tightness-looseness of culture and the perceived socio-economic status, in mental health and subjective well-being. Both perceived socioeconomic status and cultural tightness-looseness have been studied many times in the context of other nations.

Therefore, it is interesting in the context of Georgian society whether perceived socio-economic status and tightness-looseness of culture are related to mental health and sense of well-being. Another research question is whether cultural tightness-looseness and perceived socioeconomic status are predictors of anxiety, depression, and psychological well-being. As part of the research, 165 people were randomly interviewed. Correlation and regression analysis were used for data processing. The expressed hypotheses were partially justified. The opinions expressed in relation to the cultural tightness/looseness variable were found to be statistically insignificant. The paper highlights limitations that may have influenced the results of the study. Regarding the second predictor variable, the results indicate that perceived socioeconomic status is positively related to psychological well-being and negatively related to mental health (depression and anxiety). These results are supported by various studies and previous literature.

Key words: cultural tightness/looseness perceived socioeconomic status, mental health, depression, anxiety, psychological well-being, life satisfaction